საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება

№ 2-19 „24" აპრილი 2014 ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის 2014 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 27-ე მუხლის, „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 დეკემბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ" ქვეპუნქტის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 17 იანვრის N1627 წერილის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს:

ა) სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის პროგრამა (დანართი N1);

ბ) ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის პროგრამა (დანართი N2);

გ) მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის პროგრამა (დანართი N3).

2. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის სურსათის

დანართი N3

მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის პროგრამა

მუხლი 1. შესავალი

1. აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“, "პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგენს განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნე ორგანიზმების გავრცელება-განვითარების, ექსპორტისა და რეექსპორტის დროს მცენარეებისა და მცენარეული პროდუქციის, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შემოტანასთან, მარკირებასთან, შენახვასთან, წარმოებასთან (დაფასოებასთან), რეალიზაციასთან, გამოყენებასთან დაკავშირებული პირების საქმიანობის სახელმწიფო კონტროლის 2014 წლის სამოქმედო პროგრამას.

2. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს:

ა) ფიტოსანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესებას;

ბ) ქვეყანაში „სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის" დანერგვას;

გ) სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მოსავლის გადარჩენას;

დ) მაღალხარისხიანი კონკურენტუნარიანი პროდუქციის მოყვანას და ქვეყნის მოსახლეობის უვნებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით უზრუნველყოფას;

ე) საექსპორტო პოტენციალის გაზრდას;

ვ) მოსახლეობის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვას;

ზ) შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას.

3. სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამა მოიცავს წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო კონტროლის მექანიზმებს, რაოდენობასა და არეალს.

მუხლი 2. პროგრამის საფუძვლები

1. სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება იურიდიული და ფიზიკური პირების მომართვის საფუძველზე მცენარეებისა და მცენარეული პროდუქციის მწარმოებელ,

შემნახველ, გადამამუშავებელ საწარმოში ექსპორტის და რეექსპორტის დროს, საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების გავრცელების ტერიტორიებზე.

2. სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება ქიმიური და ბიოლოგიური მცენარეთა დაცვისა და აგროქიმიური საშუალებების მწარმოებელ (დამფასოებელ), შემნახველ საწარმოში, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ქსელში.

3. სახელმწიფო კონტროლის განსახორციელებლად საჭირო თანხები ანაზღაურდება „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის შესრულების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 26 დეკემბრის N2-297 ბრძანების ფარგლებში.

4. პროგრამის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია:

ა) „მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენცია" და ფიტოსანიტარიული ზომების საერთაშორისო სტანდარტები (ISPM 1-დან 36-მდე);

ბ) საერთაშორისო შეთანხმება „სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების გამოყენების შესახებ";

გ) „FAO-ს პესტიციდების განაწილებისა და გამოყენების წესების საერთაშორისო კოდექსი";

დ) „როტერდამის კონვენცია ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ";

ე) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი;

ვ) „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ" საქართველოს კანონი;

ზ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;

თ) „ფიტოსანიტარიული სერტიფიკატისა და რეექპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ფორმებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №427 დადგენილება;

ი) „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილება;

კ) „სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილება;

ლ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №59 დადგენილება;

მ) „საკარანტინო და სხვა საშიში მავნე ორგანიზმების შეღწევისა და გავრცელებისაგან საქართველოს ტერიტორიის ფიტოსანიტარიული დაცვის წესების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 იანვრის ერთობლივი N2-7-33 ბრძანება;

ნ) ტექნიკური რეგლამენტის - „ბაზარზე განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების კონტროლის და ნიმუშის აღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №447 დადგენილება;

ო) ტექნიკური რეგლამენტის - „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მარკირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №427 დადგენილება;

პ) ტექნიკური რეგლამენტის - „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და გამოყენების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №451 დადგენილება;

ჟ) ტექნიკური რეგლამენტის - „პესტიციდების წვრილი დაფასოების ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №437 დადგენილება;

რ) „საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 5 აგვისტოს N2-129 ბრძანება;

ს) „საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 29 ოქტომბრის N2-235 ბრძანება.

მუხლი 3. პროგრამის მიზნები და ამოცანები

პროგრამის მიზნები და ამოცანებია:

ა) ქვეყნის ტერიტორიაზე საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების გავრცელების მონიტორინგი და პროგნოზირება ბრძოლის ღონისძიებების დროულად და ეფექტურად გატარების მიზნით, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგულირება მათი მიმოქცევისა და გამოყენებისას. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების წარმოების (დაფასოების), შემნახველი და სარეალიზაციო ობიექტების, ბაზარზე განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის, მარკირების სახელმწიფო კონტროლისა და მონიტორინგის განხორციელება მაღალი, ხარისხიანი და უვნებელი მოსავლის მიღების და მოქმედი წესების დარღვევების აღმოფხვრის მიზნით;

ბ) განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნე ორგანიზმებით გამოწვეული მოსავლის დანაკარგები ყოველწლიურად შეადგენს 25-30%-ს, ამდენად მათ წინააღმდეგ მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გატარება წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კულტურების და მწვანე საფარის შენარჩუნებისა და მოსავლიანობის გაზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს. ,,მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციით", FAO-ს „პესტიციდების განაწილებისა და გამოყენების წესების საერთაშორისო კოდექსით" და საერთაშორისო ხელშეკრულებებით, შეთანხმებებით გათვალისწინებულია მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გატარება მაღალ მეცნიერულ დონეზე, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების და კეთილსაიმედო ქვეყნის იმიჯის მისაღწევად, რაც განაპირობებს საქართველოს მოსახლეობის უვნებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით უზრუნველყოფას და მათი ექსპორტის გაზრდას;

გ) აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებულია კანონმდებლობით განსაზღვრული განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნე ორგანიზმების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების სახელმწიფო კონტროლის ღონისძიებების განხორციელება, ექსპორტისათვის გამიზნული მცენარეებისა და მცენარეული პროდუქციის ფიტოსანიტარიული კონტროლი.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება

1. სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სააგენტოს უფლებამოსილი პირები, რომლებსაც საჭიროებისამებრ შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით უფლებამოსილებას ანიჭებს სააგენტოს უფროსი.

2. სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას გამოვლენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 66-ე, 71-ე მუხლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 98[1]-ე მუხლის შესაბამისად, სააგენტოს უფლებამოსილი პირი გამოწერს საჯარიმო ქვითარს.

მუხლი 5. განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნე ორგანიზმების ზედამხედველობა და მონიტორინგი

წლის განმავლობაში ხორციელდება:

ა) გამოსაკვლევ ზონაში მავნე ორგანიზმების არსებობა-არარსებობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით მონაცემების შეკრება, გამოკითხვა, საჭიროებისას ნიმუშის აღება;

ბ) მავნე ორგანიზმების გავრცელების არეალში გავრცელება-განვითარებაზე ზედამხედველობა;

გ) სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და სასაწყობო მეურნეობების მონიტორინგი საკარანტინო და განსაკუთრებით საშიშ მავნე ორგანიზმების გამოვლენაზე, მათი დიაგნოსტიკა.

მუხლი 6. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების კონტროლი

1. წლის განმავლობაში ხორციელდება პესტიციდებისა და აგროქიმიკატების დაფასოების, მარკირების, შენახვის, რეალიზაციის და გამოყენების კონტროლი და ზედამხედველობა. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის მონიტორინგი.

2. მონიტორინგის გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია:

ა) წინა წლების უხარისხო, ვადაგასული, არარეგისტრირებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენებით გამოწვეული მოსავლის დანაკარგების შემთხვევები;

ბ) სააგენტოსათვის მომხმარებლის მიმართვის შემთხვევები;

გ) წინა წლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები;

დ) სააგენტოს მიერ საანგარიშო წელს და წინა წლებში განხორციელებული საქმიანობების შედარებითი ანალიზი.

3. არარეგისტრირებული, ფალსიფიცირებული, ვადაგასული, გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ბაზარზე განთავსების ფაქტების აღმოფხვრის მიზნით, მონიტორინგისას 2014 წელს სულ შესყიდული და გამოკვლეული იქნება სხვადასხვა დასახელების პესტიციდების სავარაუდოდ 100 ნიმუში (120 ანალიზი), აგროქიმიკატების– 46 ნიმუში (76 ანალიზი). პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ნიმუშები აღებული იქნება კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის, სამეგრელოს, გურიის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში და ქ. თბილისში.

მუხლი 7. კონფიდენციალურობა

უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაიცვას მოთხოვნები ინფორმაციის კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 8. მოსალოდნელი შედეგები

1. გამოკვლეული იქნება საქართველოს ტერიტორიის ფიტოსანიტარიული მდგომარეობა შესაბამისი ფიტოსანიტარიული ზომების მისაღებად და მცენარეული პროდუქციის ექსპორტის ხელშესაწყობად.

2. შემოწმებული იქნება პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მწარმოებელი (დამფასოებელი), შემნახველი, სარეალიზაციო ობიექტები და მათი საქმიანობის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.

3. შემცირებული იქნება ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული, აკრძალული, ვადაგასული და უვარგისი პესტიციდებითა და აგროქიმიკატებით ვაჭრობის და მათი გამოყენების ფაქტები.

მუხლი 9. ანგარიშგება

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს მთავრობასა და სოფლის მეურნეობის სამინიტროს წარედგინება საქართველოს ტერიტორიაზე მცენარეთა მავნე ორგანიზმების გავრცელება-განვითარების თაობაზე, რისკის ანალიზის, მცენარეთა კარანტინის განხორციელების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კონტროლის შედეგების წლიური ანგარიში.